572
1977

7 - 1 ოთ 19 = 119

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1977 ივლისი N4

ფილა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძია ლენინი

ტარიელ ხავთასი

დაიბადა!
გალხვა მიწა
ზამთრის სუსხით დაზაფრული.
დაიბადა!
მასთან ერთად
დაიბადა გაზაფხულიც.

დაიბადა
და თან მოჰყვა
განახლების ბრძოლის ალი.
დაიბადა
მასთან ერთად
იმედი და მომავალი.

დაიბადა,
დაიბადა,
დაიბადა დიდა ლხენის;
დღეს გაზაფხულს რომ
ვუმღერით,
ჩვენ ვუმღერით მია ლენინს.

ნახატი ზაურ დეისაძისა

ლენინი როზლივში

ა. კონონოვი

ლენინგრადთან არის სადგური როზლივი. სადგურის მახლობლად კი პატარა ტბა. გაზაფხულობით, როცა თოვლი დნება, ტბა დიდდება, ნაპირებიდან გადმოდის და ფარავს მწვანე მდელოებს. ამიტომაც ეძახიან ამ ადგილებს როზლივს.

როზლივი რუსულად ადიდებას ნიშნავს.

ზაფხულში, ივლისის თვეში, მდელოებზე მაღალი ბალახი იზრდება, იწყება თიბვა.

სწორედ ის დრო იყო, როდესაც 1917 წელს ლენინი როზლივში ჩამოვიდა. ახლა, ივლისის დღეების შემდეგ, მტრებს ემალებოდა,—ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ჯაშუშებს.

ბურჟუაზიული მთავრობა მტრულად იყო განწყობილი ხალხისადმი.

ვლადიმერ ილიას ძე ტბასთან დაბინავდა, თივის ზვინში მოუწყეს ქოხი.

ვლადიმერ ილიას ძეს ეს ბინა არც თუ ისე მოსწონდა. მან ტყიდან ხის ტოტები მოზიდა, ჩამოამტვრია ზედმეტი შტოები და თავის გემოვნებით მოაწყო ქოხი.

დიდი არყის ხის გარშემო, რამდენიმე ადგილას, მოზიდული ხეები მიწაში ჩაასო. ზემოდან მწვანე ტოტები დააყარა, გარშემო კი თივით შენიღბა.

ქოხის მოწყობილობა საკმაოდ სადა იყო: თუნუქის ჩაიდანი, კარადა, ნაჯახი, ხერხი და ცელი.—ეს იყო და ეს...

ასე ცხოვრობდა ლენინი ქოხში.

მურყნარის ბუჩქებში დიდ ძირკვთან უყვარდა ჯდომა. გამოვიდოდა, ფურცლებს ძირკვზე დააწყობდა, დაჯდებოდა და წერდა. ბუჩქები ფარავდნენ მას.

ყოველ საღამოს ტბაზე გამოჩნდებოდა ხოლმე ნავი. ამ ნავით პეტერბურგიდან მისთვის ერთგულ კაცს ახალი გაზეთები და წერილები მოჰქონდა.

ვლადიმერ ილიას ძე კითხულობდა წერილებს, ყურადღებით ათვალიერებდა გაზეთებს და საინტერესო ადგილებს საგანგებოდ ინიშნავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
23421

მტრები კი ეძებდნენ ლენინს, მაგრამ ამაოდ. თავის გაზეთებში ისინი წერდნენ, რომ ლენინი თვითმფრინავით გაფრინდა საზღვარგარეთ, რომ იმალება ზღვაში,—წყალქვეშა ნავში.

ლენინი კითხულობდა და ეცინებოდა:

— ჰმ, პაწაწკინტელა მასხარები!

იმ დროს შიმშილობა იყო, ხშირად ლენინს პურიც არ ჰქონდა. თუმცა არც ახსოვდა საჭმელი, როცა მისთვის საუზმე მოჰქონდათ სადგურიდან, მხოლოდ მაშინ თუ გაახსენდებოდა ხოლმე, რომ მშიერი იყო.

ერთხელ როზლიველმა ბავშვებმა ტბაში დიდი ქარიყლაპია დაიჭირეს და ვლადიმერ ილიას ძეს მოუტანეს ქოხში. ქოხის წინ პატარა პალოებზე კარდალა ეკიდა. ბავშვებს უნდოდათ ლენინისთვის თევზის წვნიანი მოემზადებინათ.

მაგრამ ვლადიმერ ილიას ძემ უთხრა:

— მოიცადეთ, ღლეისათვის კიდევ მაქვს ჩაი და პური, ხვალისათვის კი საღილად არაფერი გამაჩნია. შევინახოთ ქარიყლაპია ხვალისათვის.

თავისუფალ დროს ილიას ძე თიბავდა ბალახს, აშრობდა და ზვინავდა.

ერთხელ ცაზე ტყის მხრიდან უშველებელი ლრუბელი დაიძრა და ცის ნახევარი დაფარა.

ვლადიმერ ილიას ძე აჩქარდა. დაიწყო თივის ზვინის დადგმა. ელვამ ლრუბელი გააპო, დაიქუხა. წვიმა წამოვიდა, თივა კი უკვე დაზვინული იყო.

წვიმის შემდეგ ჰაერი გასუფთავდა, დატრიალდა ყვავილების, დამბალი თივის, მიწის სურნელება. ტბის ზედაპირი მზეზე აბრჭყვიალდა.

გვიან საღამოს ნაპირს ნავი მოადგა.

ნავიდან ორჯონიკიძე გადმოვიდა. იგი ისე მოდიოდა, რომ ლენინს ვერ ხედავდა.

როდესაც ვლადიმერ ილიას ძე ბუჩქებიდან გამოვიდა, ორჯონიკიძე მოიღუშა:

„ვილაც უცნობი კაცი... საიდან უნდა იყოს? რას დახეტიალობს ლენინის საცხოვრებელთან?“

მართლაც, რომ ძნელი საცნობი იყო ვლადიმერ ილიას ძე. წვერ-ულვაში მოპარსული ჰქონდა, ქუდი შუბლზე ჩამოფხატული ჰქონდა.

ლენინი მიესალმა, მაგრამ ორჯონიკიძემ კიდევ ვერ იცნო იგი. მაშინ კი ვლადიმერ ილიას ძემ მხიარულად დაჰკრა მხარზე ხელი:

— რაო, ამხანაგო სერგო, ველარ მცნობთ?

ახლალა იცნო ლენინი ორჯონიკიძემ. ისინი ქოხისაკენ გაეშურნენ.

სერგო პეტროგრადიდან ჩამოვიდა, ვლადიმერ ილიას ძისათვის მნიშვნელოვანი ამბები უნდა მოეხსენებინა. ყველაფრის დაწერა არ შეიძლებოდა წერილში, იგი შეიძლება მტერს ჩავარდნოდა ხელში.

დიდხანს საუბრობდნენ ვლადიმერ ილიას ძე და ამხანაგი სერგო, დილით კი სტუმარი წავიდა. თან წაიღო ლენინის პასუხი და მითითებანი.

აგვისტოს ბოლოს წვიმები დაიწყო.

მუშაობა აღარ შეიძლებოდა, ძირკვი სველი და სლიპი გახდა, პატარ-პატარა სოკოებით დაიფარა და თითქოს გაფუვდა კიდეც.

ცივი ამინდები დაიჭირა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინი როზლივიდან ფინეთში გადაიყვანა.

ქოხი დაცარიელდა. ლენინი წავიდა.

და დგას ახლა იმ ადგილას ძეგლი—გრანიტის ქოხი.

მურყნარის ბუჩქები ხეებად იქცნენ. დიდი არყის ხე აღარ ჩანს, მისი ფესვებიდან ამოიზარდა სამი ახალგაზრდა არყი.

ყველაფერი დანარჩენი იმ ადგილებში ისეთივე დარჩა, როგორიც იყო – ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასი და საყვარელი.

თარგმნა **ენდი წერეთელმა**

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ამ განყოფილებაში დაბეჭდილი მოთხრობები და ზღაპრები თარგმნეს **ჰაბუა ამირეჯიბმა** და **ლამარა ბოკერიამ**, ლექსები—**გივი ძნელაძემ** და **იორამ ქემერტელიძემ**.



მეგობრებო, თქვენ უკვე მიცნობთ: მალიატკო ვარ, თქვენებურად—ცეროდენა. მე, კალინკამ და ცუგამ ეს მხიარული მოთხრობები და ზღაპრები, ლექსები და გასართობები უკრაინიდან ჩამოგიტანეთ. ჩვენს ბავშვებს ისინი ძალიან მოსწონთ. თქვენც რომ მოგეწონათ, სამივეს გაგვიხარდა—მეც, კალინკასაც და ცუგასაც.

სულ კარგად და ბედნიერად იყავით.

თქვენი მალიატკო. (ცეროდენა)

პავლუსი და ოქსანკა ტყეში სოკოზე წავიდნენ.

უცებ ქარმა დაუბერა და ორივეს ქუდები მოსტაცა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ქუდები ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ,—ვერაფერი გაიგეს.

ბავშვებო, დაეხმარეთ პავლუსსა და ოქსანკას ქუდების პოვნაში. აბა, ერთი ვნახოთ, ვინ უფრო მარჯვეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრუბლის ქულა

პლატონ ვორონკო

ცხელა. დასცხა ღრუბლის ქულას,
სული ვეღარ მოიბრუნა.
დაიღვარა ციდან წვიმად
ღრუბლის ქულა პაწაწინა.

ჰე, ღრუბლის ქულავ, დაგვიგდე ყური,
ერთი შენებურად დაუშვი კიდევ!—
რომ ამობიბინდეს ჭვავი და პური,
ჩვენ კიდევ—ვმკიდეთ და ვმკიდეთ...

გვექნება ქადა და ბლინი,
ცხელი ფუნთუშა და ნამცხვარი,
ოღონდ გაგვახარე წვიმით,
წვიმაა, ღრუბლის ქულავ, რაც არი!

ქოშები

ლ. პისმენსკაია

ზღაპარი

ერთხელ დათვმა—თაფლიჭამიამ ქოშები დაკარგა.

დაკარგა და მორჩა! იმ ქოშების ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. დიდი კი არაფერი, ჯლანები იყო, მაგრამ ფეხზე კარგად ჰქონდა მორგებული და გული დასწყდა. ეჰ აფსუს!

თვითონ ეძება,—ვერ იპოვა. მელია კუდაგრძელიამ ეძება,—ვერც იმან იპოვა.

თაფლიჭამიამ ძალიან იდარდა თავისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქოშები, მაგრამ თან ხომ არ გადაჰყვებოდა, როგორც იქნა გადაიგდო გულიდან და დახეთ, ახალი სადარდელი არ გაუჩნდა! ჭორები დაუყარეს, ბოროტი ხმები მთელ სოფელს მოსდეს:

აქეთ—ბებოს არაყანი მოჰპარაო,—იქით—ერთი კეთილი ბერიკაცია და, ქათმის სინსილა გაუწყოო... არა და, თაფლიჭამიას წინათ ყველა პატივსა სცემდა, ახლა ვინც გზად შემოეყარა, ყველამ ზურგი შეაქცია. იქნებ ამ საქმეს სხვა ვინმე სჩადიოდა და დათვს აბრალებდნენ? კი ბატონო, მაგრამ ა, დათვი და ა, კვალიო: კვალი ყველგან თაფლიჭამიასი იყო, დათვის ქოშებისა!

ვაი სირცხვილო და თავის მოჭრავ!

უგუნებოდ შეიქნა თაფლიჭამია, დადის, მკერდზე ტორს იბრაგუნებს და იფიცება:

— არა ვიცი-რა! უბრალო ვარ! მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს, თუ მართალი არ ვიყოო!

— ქოშების კვალიო?! ვეღარ გაიგეთ, ხალხო, რომ ქოშები რა ხანია აღარა მაქვს, აკი დამეკარგა!

ვინ დაუჯერა! ა, დათვი და ა, კვალიო.

— ნეტავი თქვენა, ბატონო დათვო, ხმებს რომ აჰყოლიხართ,—ანუგეშებდა მელია კუდაგრძელია,—ილაყბონ, რა გენალვლებათ. მაგდენმა დარდმა დასნეულებაც იცის. აბა, შემომხედეთ! რას არ ყბედობენ ჩემზე, მაგრამ აინუნშიაც არ ვაგდებ და, აკი ფერზეც კარგადა ვარ და ხორცზეც!

მართლაც და, მელია კუდაგრძელია ბოლო ხანებში ისე გასუქდა და გაკეთდა, მელიის უნახავს გაგხდიდათ.

დათვი კი ლამის სადარდებელს გადაჰყვა: არ იქნა და არ მიწყდა ჭორი და მითქმა-მოთქმა.

ეშმაკი პირსახოცი

ტანიამ პირსახოცი მოქარგა. ვის უნდა აჩუქოს? ნახატს დააკვირდი და თქვი!

აბა, ვინ არ იცოდა, რომ ყველაფერი იმ ქურდბაცაცა მელია კუდაგრძელიას ოინები იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომპოზი

ცუგამ კალინკას სთხოვა, კომპოტი მომიხარშეო.

— სიამოვნებით, თუ ხილეულს მომიტან,—დათანხმდა კალინკა.

გაცუნცულდა ცუგა და პირთამდე სავსე კალათა მოურბენინა.

— ეჰეე,—გაიცინა კალინკამ,—ამისი კომპოტი ვის გაუგონია!

— რატომ?!—გაუკვირდა ცუგას.

ბავშვებო, აბა, თქვენ თუ მიხვდებით,—რატომ?!

ვინ იცხოვრებს ამ სახლში

მ. სტელმახი

დილას აქეთ, მთელი დღეა—
სახლს ვაშენებთ მე და ბაბუ,
არ გვჭირდება ქვა და რკინა,
არც კირს ვხმარობთ და არც აგურს.
მიდი-მოდის შალაშინი
წინ და უკან, ჩქარა-ჩქარა.
სახლს ვაშენებთ პაწაწინას,—
არც კარი აქვს, არც ფანჯარა.
აჰა, უკვე გადავხურეთ,
ჭუჭრუტანით დავამშვენეთ.
აბა, მიხვდით, მე და ბაბუმ
სახლი ვისთვის ავაშენეთ?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაეხმარეთ

გზა არ უნდა აერიოს,
რომ დაკრიფოს სოკო...

დაეხმარეთ, მიიყვანეთ
სოკოებთან გოგო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელორუსიის სსრ

მე და ტოლიკა

ვასილ ხამჩანკა

მე და ტოლიკა მეგობრები ვართ. მეც პირველ კლასში ვსწავლობ და ტოლიკაც. ცხოვრებითაც ერთ სახლში ვცხოვრობთ...

მასწავლებელმა გვითხრა: ერთმანეთს დაეხმარეთ ხოლმე, მეგობრები იყავითო.

გაკვეთილების შემდეგ ტოლიკასთან მივირბინე:

— მოდი, დაგეხმარები!

— რაში დამეხმარები?! გაკვეთილები უკვე ვისწავლე.

— მაშინ დავხატოთ რამე.

— უკვე მთელი რვეული გავავსე ნახატებით.

— იქნებ ხელები არ დაგიბანია?

— ხელებიც დავიბანე.

— შეხედე!—წამოვიძახე მე.—ხალათზე ღილი აწყვეტაზე გაქვს, დაგიკერებ.

— შენი ღილი ვერ დაგიკერებია, შარვალზე დაიხედე!

მე შარვალი გავიძრე, ტოლიკამ—ხალათი; მე ტოლიკას დავუკერე ღილი, ტოლიკამ—მე.

მერე დავსხედით და დავიწყეთ ფიქრი, კიდევ რითი დავხმარებოდით ერთმანეთს?

ტოლიკამ გაიხსენა:

— ჰო, მართლა, კისელი მაქვს, მომეხმარე შეჭმაში.

— სიამოვნებით!

კისელი გიახელით, მერე ჩემთან წამოვედით და კომპოტი დავაყოლეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტყეში

ვერა ვიარგა

გუგულების გუგუ-გუგუ
და რაკრაკი ნაკადულის
როგორ მინდა, როგორ მინდა,
მოვისმინოთ ჩემი ყურით.

მაჟალო რომ ცვივა ხიდან
და ძახველს რომ ადევს ალი—
ყველაფერი, ყველაფერი,
მინდა ვნახო ჩემი თვალით.

მეგობრები

ილია მურავეიკა

ცრემლად იღვრება ვიტია,
შეწუხდა ჩვენი კოლია:
— რა მოგივიდა, შე კაცო,
ტირილი გამიგონია?

ჯოხი მომიხვდა, რა მოხდა,
ვაჟკაცი ვარო—ეს არი?!
აჰა, ჯოხი და დამარტყი,—
განა ვიტირებ შენსავით.

ნახატი მანანა მორჩილაძისა

ბუ და კოდალა

ბელორუსული ხალხური ზღაპარი

იყო ერთი კოდალა—ხეკაკუნა. ირიჟრაჟებდა თუ არა, უკაკუნებდა და უკაკუნებდა ხეებზე; მე შენ გეტყვი და, დაილლებოდა! ერთხელაც, ლილაუთენია ფიქვზე ისეთი რაკარუკი ატეხა, მთელი ტყე გააყრუა.

ამ დროს მისი მეზობელი ბუ—ბრიყვი ბუალა, ის-ის იყო., დაძინებას აპირებდა.

— რაკ-რუკ-რაკ!—კაკ-კუკ-კაკ! ყური მოჰკრა ბუმ კოდალას კაკუნს და თავი გამოჰყო ფუღურიდან:

— გონს მოდი, ბატონო ხეკაკუნავ.

— ჰმ! — გაიკვირვა კოდალამ,— რა დროს ძილია ამ შუადღისას?

— როგორ თუ რა დროს ძილია,— დააბრიალა მრგვალი თვალები ბრიყვმა ბუალამ,—ნუთუ არ იცი, რომ მთელ ზეზს მოდგმას—ყველა ჭოტსა და ზარნაშოს დღისით ძინავს?!

— ღამით რაღას აკეთებთ?

— დავფრინავთ, საზრდოს დავეძებთ. აბა, კოდალებიანთ ბრიყვები ხომ არა ვართ, ღამით ვიძინოთ და დღისით საჭმელი ვეძებოთ.

— მე ღამით ფრენა არ შემიძლია,— მიუგო კოდალამ.

— რატომ?—გაოცდა ბუ.

— ღამით ისე ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან.

— გადამრევს ეს ხეკაკუნა,—შეიცხადა ბრიყვმა ბუალამ,—ისიც არ იცი, რომ დღისით ბნელა, ღამით კი სინათლეა.

— დღისითაა სინათლე, ღამით ბნელა,— არ დაეთანხმა კოდალა,—განა ვერა ვხედავ, დღისით ანათებს მზე, ღამით კი არა.

— რომელ მზეზე ლაპარაკობ! ასეთი რამ არც გამიგონია!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ბუალა! მზეა რაც არი!

— პირველად მესმის ასეთი რამე!— არ დაუთმო ბუმ.

— ეჰ, შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა,—თქვა კოდალამ და უფრო მაგრად აუტეხა კაკუნი ხეს.

— ასე ხომ,—გაჯავრდა ბუ,—მაცადე და, ბუ არ ვიყო, თუ არ განანო, შენც მოგინდება ძილი...

დალამდა. ხეკაკუნამ ტკბილი ძილით ჩაიძინა.

შუა ძილში იყო, რომ უეცრად ვიღაცამ დაიკივლა:

— უ-უ-უ!

მერე კი ახარხარდა:

— ხა-ხა-ხა-ხა!

შეკრთა კოდალა, შიშისაგან აცახცახდა, თვალები მოიფშვნიტა, დააკვირდა, დააკვირდა და რას ხედავს, შემომჯდარა ტოტზე ბრიყვი ბუალა და მთელი ხმით ხარხარებს.

— უჰ, შენ რა გითხრა!—თქვა კოდალამ,—ამ შუადამისას რა დროს სიცილია, წადი, დაიძინე!

— არა,—უთხრა ბუმ,—უნდა ვიმღერო!

— კაი რამე სიმღერა კი იცი, შენმა მზემ!

— ხა-ხა-ხა! უ-უ-უ!—უფრო ხმამაღლა ახარხარდა ბუ და ყველა ჭოტმა და მიკიოტმა ბანი მისცა.

— დამაცადე, შე ქუეტელა, შენა!— დაემუქრა კოდალა ბუს,—გათენდება და გიჩვენებ სეირს.

მეორე დღეს კოდალა მთელი დღე უკაკუნებდა ბებერ ფიქვს და ძილს უფრთხობდა ბუს. მერე ბუ კიოდა და ხარხარებდა მთელი ღამე.

მას აქეთ უთენდებათ და ულამდებათ კოდალასა და ბუს. ის დღეა და ეს დღე, ვერც ერთს დაუძინია მშვიდად და ვერც—მეორეს.

ნახატი ედუარდ ამგოკაძისა

მჯიღაღა

ატირდა ირინე, ქუჩაში რატომ არ მიშვებთო.

— რა გატირებს, ბებიკო, მოდი, პირი დაგბანო.

— მარტო პირი და ცხვირი დამბანე, თვალებს ხელი არ ახლო, კიდევ უნდა ვიტირო.

ნამცხვარი

— აბა, მიშა, არითმეტიკაში როგორა გაქვს საქმე?

— კარგად.

— რას გადიხართ ახლა?

— გაყოფას.

— ეს ნამცხვარი რომ შენ, კოლიასა და ვიტიას გაგიყოთ, მერამდენედი გერგება?

— ძალიან მცირედი.

მხაჯვარი

— რასა ხატავ, შვილო?

— ცხენს.

— მერე და, კუდი?!

— კუდი ჯერჯერობით ფანქარშია.

ვაშლები

დილით დედამ ვაშლები იყიდა და ბავშვებს უთხრა:

— აი, თქვენი სასუსნავი, სკოლიდან რომ მოხვალთ, მოულხინეთ.

საღამოს დედა სამსახურიდან რომ დაბრუნდა, ვერა მაგიდას მიჯდომოდა და ამოცანას იყვანდა.

დედამ უთხრა:

— აბა, ჩემს ამოცანას თუ გამოიყვან! მე გიყიდეთ ვაშლები: შენ — ორი, პეტიას — ორი, კოლიას — ორი, სულ რამდენი ვაშლი გვქონია?

— არც ერთი, — უპასუხა ვერამ, — ყველა პეტიამ შეჭამა.

ნახატები
სოფიო კინწურაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რა ქუხილი გაისმის

კ. გოგიაშვილი

— ეს რა ანათებს ჰაერში,
რას გააქვს გრიალ-გრიალი?
— როგორ, თინიკო, არ იცი?
დღეს კოსმონავტის დღე არის!

ზეცა ზეიმობს, გაისმის
სალუტი ომახიანი,
დედამიწიდან კოსმოსში
გაფრინდა ადამიანი.

ტყე და წყარო შველის

ევგენი გაართაია

ტირის ვერხვი მტირალა—
ვერხვი ტოტებსველი:
— ვინ გაწყვიტა ხოხობი?
ვინ გაწყვიტა შველი?
ნედლი ხე რომ მოჭერი—
ნადგურდება ჭალა.
არც ბალახი, არც წყარო,
არც შვრია და ჩალა!
უნდა დავრგოთ ხე
და გაჩნდება ტყე;
მოფრინდება ხოხობი,
მოშენდება შველი.
ხოხობსა და შველს
ტყე და წყარო შველის.

ნახატი **მანანა მორჩილაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მეგობარი“

ოტია იოსელიანი

ზაზას დედაც ჰყავს, მამაც და ბებიაც, მაგრამ არა ჰყავს და-ძმა. არა ჰყავს და რა გინდა, რომ ჰქნა. ზაზას გაჩენისთანავე მამა წავიდა სოფელში ბებიასთან და უთხრა: ამ ძროხებისა და ხბოების მწყემსვას ის სჯობია ბავშვს მიმიხედეო. დაავლო ხელი და ქალაქში ჩამოიყვანა.

ბებია შეწუხდა: ასე, ოთხ კედელში გამოკეტილ ცხოვრებას, ფანჯრიდან გადახტომა მირჩევნიაო, მაგრამ მეხუთე სართულიდან რომ გადაიხედა, გადახტომას ამ სიბერეში წერა-კითხვის სწავლა ამჯობინა. მას აქეთ უპირავს ხელში გადაშლილი წიგნი და უსათვალოდ, ფურცელზე თავდადებული კითხულობს.

ზაზა არც ბაგაში წაიყვანეს, არც ბაღში გაუშვეს.

— ბავშვი ხბო ხომ არაა, ბაწრით წელზე გამოვიბაო,—ამბობს ბებია, რაც ზაზა წამოიზარდა და ჩქარობს,—მოხუცი ვარ, ამდენი წიგნის წაკითხვას როდის მოვასწრებო.—კითხულობს და კითხულობს.

ზაზაზე ცოტა უფროსები სკოლაში დადიან, მასწავლებელს უთქვამს, ზაზამ ერთი წელი კიდევ უნდა მოიცადოსო. კიდევ ერთი წელი როგორი გასაძლებია, როცა ყველა ბავშვი სკოლაში ან ბაღში დადის, ან მუსიკაზე, ცეკვაზე და ხატვაზე დაჰყავთ. მთელ ეზოში კი არავინაა, გარდა ერთი ყურებ-პარტყუნა ბიჭისა.

ბიჭს უჩა ჰქვია, მაგრამ რად გინდა; ძალიან უმცროსია. ენაც კი ეჩლიქება, რ-ს ვერ ამბობს და დედამისი—დეიდა ეკვირინე ბაღში არც მას უშვებს: შვილი დამეჩაგრებაო. დეიდა ეკვირინე არ მსახურობს და უჩა მასწავლებელთან დაჰყავს, რ-ს ასწავლისო. უჩა კი რ-ს მაგიერ ისევ ლ-ს იძახის და ეზოში მაშინ გამოჩნდება, როცა დედამისი ბაზარში გასწევს, ბაზრიდან მაღაზიაში გამოივლის, ბოლოს კი ცხელი თონის პურისათვის რიგში დადგება.

ზაზა მთელი დღე ფანჯარასთან დგას და ფიქრობს: ერთი ძმა მაინც მყოლოდა, ასე უბედური არ ვიქნებოდიო. ბავშვი რომ ფიქრობს, უბედური ვარო, ამაზე დიდი საცოდაობა ქვეყნად არ არსებობს.

დგას ზაზა ფანჯარასთან. გარეთ ღრუბლიანი დღეა. ეზოში მოშრიალე ალვის და ჭადრის ხეების კენწეროებს გასცქერის და ფიქრობს: ძმა კი არა, დაც რომ მყავდეს, მაინც ბედნიერი ვიქნებოდიო.

არც უჩას ჰყავს და-ძმა. მართალია, ძალიან უმცროსია, მაგრამ მასაც უნდა ახლობელი ჰყავდეს.

ზაზა ფანჯარასთან დგას და დარაჯობს, როდის წავა დეიდა ეკვირინე ბაზარში, იქნება მერე ეზოში უჩა მაინც გამოჩნდესო.

გარეთ ხის კენწეროები შეტოკდა, ქარმა დაუბერა.

წავიდა დეიდა ეკატერინე ცარიელი ჩანთებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ნაწვიმარია, ქარიც უბერავს და ზაზამ იცის, უჩა არ გამოჩნდება. დედამისი აუკრძალავდა, რომ გაცივდეს, მასწავლებელთან ვერ ივლის და რ-ს ვერ ისწავლისო. გუშინაც ნაწვიმარი იყო, შეიძლება ხვალაც უამინდობა იქნეს და ზეგაც...

აი, მეზობელ მეოთხეკლასელ ზურიკოსთან კი მეგობრები ნაწვიმარზეც დადიან და წვიმაშიაც. უჩა რომ მეგობარი იყოს, სახლში მაინც მოვიდოდა, ან თვითონ ზაზა წავიდოდა უჩასთან.

ზემო უბანში საკანალიზაციო მილებს რომ აწყობენ და დანგრეული ქუჩაა, იქიდან ორი, ზაზას ტოლი ბიჭები შემოეხეტებიან ეზოში, მაგრამ დეიდა ეკვირინე მაშინვე დაიფრენს: ხულიგანი ბიჭები ხართ, აქაურობას არ გაეკაროთო.

მაინც ერთადერთი უჩაა, რომელიც იქვე, მეორე სართულზე ცხოვრობს. ზარზე ხელის დაჭერაც არაა საჭირო. როცა დედამისი მოდის, ყური კარზე აქვს მოდებული, დააკაკუნებ და მაშინვე იკითხავს: „ვინ ალის?“

რ-ს ხომ ვერ ამბობს და ვერ ამბობს.

— ბებია, მე უჩასთან მივდივარ.— უბარებს ზაზა.

— წადი შვილო,—ამბობს ბებია ისე, რომ გაშლილ წიგნს თვალს არ აშორებს,—წადი, ბალღი ხბო კი არაა, ბოსელში დავამწყვდიო.

ზაზა ჩადის ქვევით, მეორე სართულზე და კარზე აკაკუნებს.

— ვინ ალის?

— ზაზა ვარ.

უჩა მაშინვე აღებს კარს, თვალები უციმციმებს, მერე ოთახებში დარბის, მაგიდისა და საწოლების ქვეშ დაძვრება, ახალ, ყვითელ ტყავის ბურთს ეძებს, მამამისმა რომ უყიდა და დედამისი უმალავს,

— არა, უჩა, თამაში არ მინდა...—ამბობს მოწყენილი ზაზა.

— ლატომ?

— არ მინდა და იმიტომ! სხვა რაიმე მინდა...

— ლაა?—უჩა ცხვირს გოჭივით მაღლა სწევს, პატარაა და იმიტომ.

— რა და, სულ სხვა რაიმე...

— ლა? ლა?—თუ ვერაფერი გაიგო, უჩამ პირის დაღებაც იცის.

— რა და, მეგობარი მინდა.

— მეგობალი?..—უჩას ისევ დაღებული აქვს პირი, მაგრამ ზაზას სხვა გზა არა აქვს და ეუბნება:

— მოდი, უჩა, ვიყოთ მეგობრები...

— მეგობლები?..

— ჰო, უჩა, მინდა... ძალიან კარგი მეგობრები ვიყოთ.

— ვიყოთ, ლა!—იმწამსვე თანახმაა უჩა და ისევ ბურთის მოძებნას აპირებს.

— მე მართლა გეუბნები,—აჩვენებს ზაზა,—გესმის?!

— მეც მართლა...—ამბობს უჩა და აღებს პირს:

—მეგობრები რომ ვართ, ბურთი აღარ უნდა ვითამაშოთო?

— მერე და, იცი, რაა მეგობარი?

— ლაა?

არ იცის... აუწევია გოჭივით ცხვირი. გაუფშეკია ყურები, დაუღია პირი და არაფერიც არ იცის.

— ახლა, თუ მეგობარი არ იცი, რა უნდა გელაპარაკო...—გული მოსდის ზაზას.

— ვიცი... ლოგოლ ალ ვიცი..—ამბობს უჩა, არ უნდა ზაზას აწყენინოს, თორემ არაფერიც არ იცის.

— მაშინ მითხარი!

— შენ თითონ მითხალი და გეტყვი...

მოდი და ასეთ ვინმეს ემეგობრე! გულდაწყვეტილი ზაზა ბრუნდება უკან. მიყვება მაღლა კიბეებს და ფიქრობს: დაია არა მყავს, ძმა არა მყავს, ბალში არ მიშვებენ, არც მეზობელი მყავს ისეთი, მეგობრობა რომ იცოდეს...

უკან უჩა კუდივით მოსდევს.

— მითხალი, ლა ალის მეგობალი?

— ლა გითხლა?—აჯავრებს ზაზა.

უჩას გამოჯავრება არ სწყინს. მგონი წყენა რაა, არც ის იცის.

— მეგობალი ლაა, მითხალი და ვიქნები!

— რა იქნები, ჯერ შენი მეგობრობა რა დროისა!..

— ვიქნებიი!—ჯიუტობს უჩა. მეგობრობა არ გაეგება, თორემ გაჯიუტება კარგად იცის.

— მეგობარია ის, ვინც...—ზაზაც დაიბნა,—მეგობრობა მარტო ბურთით თამაში არაა.

— მაშინ, ლაა?

— არ წაიღო ყურები! რა, და...

— ალ იცი! ალ იცი!—კიბის მოსაბრუნთან ასკინკილით შეხტა ეს თითის სიგრძე.

— რა არ ვიცი!—ბრაზობს ზაზა.

— ლაა?—ისევ სწევს ცხვირს და აღებს პირს.

— რაა და, რაიმე რომ მეტკინება, ან ავად ვიქ-

ნები, მეგობარი მოვა და წამალს მომიტანს.

— ვიცი!—ვითომ რალაცას მიხვდა, მაგრამ მაშინვე ისევ პირი დააღო,—ლოდის გეტკინება?

ზაზამ მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, როდის... მეტკინება, ან როდის გავხდები ავად.

— ალ იცის, ალ იცის! დიდი ბიჭია და ალ იცის!

— გაჩერდი, სულელო!—გაუწყრა ზაზა.

— ალ იცი, და...

— აი, ხულიგანი ბიჭები თუ მცემენ, მეგობარი მომეშველება.

— ლოდის გცემენ?

ელაპარაკე ამისთანა მეგობარს! ზაზამ ხელი ჩაიქნია და გულდაწყვეტილი ისევ კიბეებს აუყვა. უჩაც ისევ აედევნა.

— მითხალი, მითხალი!..

— რა გითხრა, შენ რა გელაპარაკო, სულელი ხარ!

— ალა ვალ!..—აღრიალდა უჩა, მაგრამ ზაზამ კარი აბზეკილ ცხვირწინ მოუხურა. შინ შევიდა. ბებიას ისევ ეჭირა უშველებელი სქელი წიგნი ხელში და კითხულობდა.

ზაზა კვლავ ფანჯრის რაფას მიეყრდნო, ორივე ხელი ნიკაპქვეშ შეიბჯინა და დაიწყო ფიქრი. არ ჰყავს და, არ ჰყავს ძმა, ბებიამ ამ სიბერეში მოინდომა ამოდენა წიგნების გადაბულბულება... სკოლაშიაც გაისამდე არ მიჰყავთ... უჩა კი ისე პატარაა, ვერაფერს გააგებინებ. ხულიგანი ბიჭები ბურთს თამაშობენ. შურდულებით ქვებს ისვრიან და გოგოებს ბაბთებს აგლეჯენ, მათთან მეგობრობა კი არა, ნაცნობობაც არ შეიძლება...

დგას ზაზა ფანჯარასთან დაღვრემილი და ღრუბლიან ცას მიშტერებია.

სადღაც სტვენა გაისმა. ზაზას გული დაწყდა, ვიღაც მეგობარი მეგობარს ეძახისო. სტვენა განმეორდა, მერე თავისი სახელიც მოესმა—„ზაზა“!

გადაიხედა, ეზოში ჯიბეებში ხელჩაწყობილი ხულიგანი ბიჭები იდგნენ.

— ჩამოდი!—ამოსძახა ერთმა. მეორემ, უჩას ყვითელ ბურთზე რომ ფეხი ედო, ხელი დაუქნია.

ზაზამ ვერაფერი გაიგო, მაგრამ ეზოში რომ ჩავიდა, ერთმა ბიჭმა, თმა რომ ყალყზე უდგა, მიიხედ-მოიხედა და მეორეს, თავმოხოზრილს ჰკითხა:

— ის ყურპანტურა სად არის?

მეორემ, ყვითელი ბურთიდან თავი რომ არ აუღია, გვერდზე მიიხედა, გადააპურჭყა და უპასუხა:

ნახატები **ვახტანგ გულისაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა ვიცი, ახლა აქ არ იყო?

— რა ვქნათ?—იკითხა თმაგაბურძგნულმა.

— რა უნდა ვქნათ. იმას ვუცადოთ? მოვადოთ ამას ყურის ძირში და წავიდეთ!

ზაზამ ვერაფერი გაიგო, რატომ დაუძახეს, „ყურპანტურას“ რად ეძებდნენ, ან ვისთვის უნდა გაერტყათ ყურის ძირში.

— მოდი, ახლოს მოდი!—თითი დაუქნია თმაგაბურძგნულმა.

— მეე?—ვერაფერი გაიგო ზაზამ.

— შენ, შენ! პატარა ბიჭებს რომ ჩაგრავ!—გული მოიყვანა თავმოხოზრილმა.

— რა გინდათ? მე არავის ვჩაგრავ!—შეშინდა ზაზა, უკან მიიხედა, მაგრამ არ გაქცეულა, ბიჭები ხელის მისაწვდენზე თვითონ მიუახლოვდნენ და ცხვირპირში ლაწ და ლუწ დაურთეს და დაურთეს, ზაზამ ხელის განძრევა ვერ მოასწრო, ფეტვივით დაიბნა. უცებ სადარბაზოს კარის უკან დამალული უჩა გამოვარდა და მასზე დიდ ბიჭებს მუშტები და წიხლები დასცხო.

— ეე! ეე!

— ეს შენა?! ჩვენ?—ახლა მომხდურები დაიბნენ.

— ეს მეგობალია, ჩემი მეგობალია!—აჭყივლდა უჩა, ხან ერთს ურტყამდა და ხან მეორეს. ბიჭები ხელებში ეცნენ, გავაჩეროთ, ამას რაღაცა ეშლებაო, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს.

— ზაზა მეგობალია, ძალიან კალგი მეგობალია!—გაიძახოდა უჩა და მუშტებს იქნევდა.

— ეე, სულელო, თუ მეგობარია და ძმაკაცია, გალახეთო, რად გვითხარი?—ვერაფერი გაიგო თმაგაბურძგნულმა.

— წამო, წამო, გიჟია ვიღაცაა!—თავმოხოზრილმა ყვითელ ბურთს ხელი წამოაევლო და ეზოდან მოუსვეს.

— ბურთი, უჩა, შენი ბურთი წაიღეს!—ზაზამ გამოდევნება დააპირა.

— ალა ზაზა, ბულთი მე მივეცი...

— ხულიგნებს მიეცი? რატომ მიეცი!

— ბულთი თუ ალ მოგვეცი. ისე ზაზას ალ ვცემთო.

— ჩემ საცემრად მიეცი ბურთი?—ზაზას ტირილი მოერია.

— გეტკინა?—ცხვირი გოჭივით ასწია და მეგობრული თანაგრძნობით იკითხა უჩამ.

— სულელო, მეტკინა, აბა არ მეტკინა?—აზლუქუნდა ზაზა.

— თუ გეტკინა და ავად გახდები, მე გნახავ და წამალს მოგიტან...—დაამშვიდა მეგობარმა მეგობარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 69/58

ეროვნული ბიბლიოთეკა 76055

ამოიდგა ენა წყარომ

მორის ფოცხიშვილი

ამოიდგა ენა წყარომ,
დახეთ აბრიკოს რა უქნია,—
მთებზე ია-ია ხარობს,
თოვლი სულ მთლად გაუქრია.

მიწას მწვანე ჩაუცვია,
ხევს სიმღერა დაუწყია,
ჯეჯილ-ჯეჯილ მდელოები
სუფრასავით გაუწყვია.

ეოველ კვირტში მზე ინთება,
თავნება და მხიარული,—
საქართველოს სადიდებლად,
საქართველოს სიყვარულით!

ნახატი **ზაურ დეისაძისა**

მთავარი რედაქტორი **მუხრან მაჭავარიანი**

საredაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი, ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იორამ ქემერტელიძე (პ/მგ. მდივანი) რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი.
ყდაზე ნახატი **თამაზ ხუციშვილისა**
გამოცემის 50-ე წელი.

ტექრედაქტორი **ედდი ფერეთელი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სანდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 10/I-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/II-77 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურცელ. 2,5, ტირაჟი 157.000. შეკვ. № 77. „Дила" № 4. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.